

წალიწალი

ყოველკვირეული ჟურნალი

კვირა, 14 დეკემბერი
1924 წ.

კომუნალი და კანტონალი
ს. მღვანის პრესა, № 117

ლია ყოველ დღე გარდა კვირა და უწმინსა,
დღის 9—1 საათამდე

№ 1

ახალი გზა.

ჩვენი ძველი გზა იყო სოციალდემოკრატიული, მენ-
შვიკური. ათეული წლობით უფოია ამ გზით საქართვე-
ლოს მუშების უმეტესობას. ამ გზით შემოეარატიეთ. ჩვენ
ალყა თვითმპყრობელობას, ამ გზაზე იჩინეს და ისახელეს
თავი რევოლუციის გმირებმა, ასობით და ათასობით
გამოსულებმა ჩვენი მებრძოლი რაზმებიდან.

მაგრამ ეს გზა არ გამოდგა ბოლომდის სწორი და
გადუბრული: როცა მივადექით გზაჯვარედინს და ასარ-
ჩვენი დარჩა ორში ერთი—ან გზა პროლეტარული რევო-
ლუციის და სოციალიზმის, ან და გზა ბურჟუაზიის და
რეაქციის, ჩვენი ხელმძღვანელი შტაბი თითქოს შეეცადა
მესამე, არ არსებული საშუალო გზით სიარულს, მაგრამ
საქმით, მთელი თავისი მოქმედებით და პოლიტიკით
ბურჟუაზიული ბილიკით მოსიარულე გამოდგა. ამ გზაზე
მოხდა მუშათა კლასის კლასობრივი და ეროვნული ინ-
ტერესების ისეთი აღრევა და გაყარება, რომ საბოლოოთ
ყოველივე ეს შეეწირა ევროპის იმპერიალიზმის ინტე-
რეს-მოთხოვნებისას.

საქართველოს ეროვნული მოძრაობა კართული მენ-
შვიკიზმის ხელმძღვანელობით ჩამოშორდა საერთაშორისო
გზას. გაუგებარი შეიქნა ამიტომ ეს მოძრაობა საერთა-
შორისო მუშათა კლასისთვის, განმარტოვდა და დამარცხ-
და, თანაგრძობას მოკლებული.

პირველი დამარცხება მოხდა 1921 წლის თებერვალ-
მარტის დღეებში, მეორე—1921 წლის აგვისტოს ბოლო
რიცხვებში. არ შეძლება ამ დამარცხების ახსნა მარტო
იმით, რომ უფრო ძლიერი იყო მოწინააღმდეგის იარა-
ლი. სისუსტე ჰქონდა ძეალბილში გამჯდარი თითონ
ეროვნულ მოძრაობას მენშვიკიზმის ხელმძღვანელობით და
ამიტომ გამოდგა სუსტი მისი იარაღიც.

აგვისტოს დღეებიდან დაწებულაია ახალი ხანა საბ-
კოთა ძალაუფლების მოწინააღმდეგე რურებში. დაწყებუ-
ლია თვითკრიტიკა. გადახედვა ძველი გზის. გუშინდელი
იდეოლოგიები იარაღით ბრძოლის—დღეს გულწრფელად
გზობენ თავის იდეოლოგიას. ვინც თავგამოდებით ამზა-

დებდა შეიარაღებულ აჯანყებას, ის თავგამოდებით
უარყოფს ბრძოლის ამ საშუალებას. ეს დაგზობა და უარ-
ყოფა უდგეს საჩუღლად ახალ პლატფორმებს.

ჩვენ დაწმუნებულნი ვართ, ახლა ნ. ჟორდანიაც
მოხსნის ღღის წესრიგიდან შეიარაღებულ აჯანყებას. მო-
ხსნის, ჩვენ ვფიქრობთ, ტაქტიკური და არა პრინციპი-
ალური მისაზრებით.

ჩვენთვის კი ძველი გზის უარყოფა არ ენება მარტო
შეიარაღებული აჯანყების საკითხს. ჩვენთვის საკითხი
დგას უფრო ფართოთ—უნდა შეიცვალოს თუ არა დღე-
ვანდელი ძალა-უფლება სხვა ძალა-უფლებით? თუ ეს შე-
ცვლა ჩვენი აუცილებლად მივგაჩნია, თუ უამისოთ არ
გვაქვს წარმოდგენილი საქართველოს წინსვლა, მისი და-
მოუცილებლობის გამტკიცება, მაშინ სულ ერთია, დღეს
რომ წინააღმდეგე ვიყოთ, ხელა მომზერ გახედებით შე-
იარაღებული ბრძოლა-აჯანყება.

დაუშვებელია საბჭოთა ძალა-უფლების დაპირდაპი-
რება მეორის წინააღმდეგ, სულ ერთია რომელი გზით
უნდა მიდიოდეს უკანასკნელი—ლევალური თუ არალე-
ვალური. ჩვენ უარყოფთ თვითონ ამ დაპირდაპირებას
და, რა თქმა უნდა, შეიარაღებულ აჯანყებას, როგორც
იმის შედეგს. ის, რაც საჭიროა მშრომელთათვის და ნამ-
დვილი ეროვნული მოძრაობისთვის, დამოუკიდებლობის
საბოლოო განმტკიცებისათვის, გაკეთდება არსებულ ძალა-
უფლების ხელით. მეტად და უკეთესად ვერ გააკეთებს
ვერც ერთი სხვა ძალა-უფლება.

ეს არის თავი და თავი. ეს უნდა მივიღოთ, აქედან
უნდა დაიწყოთ ჩვენი მუშაობა ახალი გზით. ჩვენი თვით-
კრიტიკა უნდა იყოს იმდენად გაბედული, რომ არ შეუ-
შინდეს ანაირ დასკვნას.

მაგრამ სადაც თვითკრიტიკა, იქ სხვისი კრიტი-
კაც იგულის მება. ვისაც სხვისი კრიტიკა არ შეუძლია,
იმას თვითკრიტიკის უნარიც არ ენება. მარტო პარ-
ტიას აქვს ეს უნარი, მაგრამ ის უნდა უნაირმს უნდა
სხვის კრიტიკასაც. უამისოდ არ მოხერხდება ეს, რაც
გვინდა ჩვენ. არ მოხერხდება საერთო დასალოება, გა-
ერთიანება, ერთი საქმის კეთება, ერთი გზით სიარული.

არ ქმარა ამისთვის მარტო კომპარტიზმი შესეს. პარტიამ შეიძლება მიიღოს ასობით, პარტიის გარეშე დარჩებიან ათასობით. ჩვენ ვეტყვით მუშებს, ვლებებს: შედიო, მაგრამ შედიო თავისთავალი რწმენით და არა თავის თავზე ძალდატანებით.

ჩვენ ვდგევარ საბჭოთა ძალაუფლებასთან, ვიღებთ იმის პრინციპებს ეროვნულ და საერთო პოლიტიკაში, ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში. ჩვენ არ შეგვაქვს არაეთიარო ცვლილება ამ პრინციპებში, თანამშრომლობის, ერთად მუშაობის პროცესში ჩვენ გვინდა მხოლოდ ხელი ეწყობოდეს მათ გატარებას, განხორციელებას. ჩვენი კრიტიკა არ ეხება პრინციპებს, ჩვენი კრიტიკაა იქ, სადაც პრინციპების გატარებაზეა დაპირაკი.

ახელი ჟურნალის ფურცლებზე მერე და მერე ჩვენ უფრო ხელს მიუღდებოთ ყველა აქ ვაკვირთ შეხებულ კითხვებს. კალმით იქნება თუ სიტყვით, ჩვენ ვეცდებით მთელი ჩვენი ძალოებით ხელი შეუწყობოთ საქართველოში მშენებლობის ჩამოყვებას. ამისათვის საჭიროა მოხდეს სრული ლიკვიდაცია ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული მუშაობის საზღვარგარეთ და აქ, ლეგალურ ხაზზე

იქნება გადასული თუ არალეგალურ ჩარჩოებში დარჩება ეს ბრძოლა.

ჩვენი ცდა იქნება ეროვნული მოძრაობის გამოყვანა განკერძოების ფარგლებიდან, მისი გადაყვანა საერთაშორისო სოციალიზმის ხაზზე. ეროვნულ კომპარტიზმს საძირკვლად უნდა დაედოს პროლეტარიატის დიქტატურა, მშრომელი ხალხის თვითმომქმედებაზე დამყარებული

ჩვენ ეიმუშავებთ ძალაუფლებასთან, მმართველი პარტიის სახელმწიფო პრინციპების ნიადაგზე, რომ საძირკველი გავუმარტოთ საქართველოს დამოუკიდებელ ეკონომიურ განვითარებას, იმის უკვე დაწყებულ კულტურულ აღორძინებას; გავროვნების გატარებას ისე, როგორც ეს მიღებული იქნეს მმართველ პარტიას.

და ჩვენ საყვებით დარწმუნებული ვართ, რომ ამ ახალ გზაზე ჩვენთან იქნება ყველა ის მუშა და შეგნებულ გლეხი, რომელსაც უკვე მიტოვებული აქვს ძველი დამლუპველი გზა, მაგრამ ახალზე ჯერ ფეხი არ შეუღდამს.

პროლეტარული დიქტატურის დროის ქვეშ, ახალი გზით ჩვენი ძველი, ჩვენივეს კარგად ნაცნობ მზინსკენ — სოციალიზმ-კომუნისმისკენ!

სალამი და ნაყოფიერი ბუხარა „სხალ გზას“!

დღეს გამოდის ახალი ჟურნალი „ახალი გზა“. ძნელ პირობებში უხდება მას ამხანაგებთან საუბარი.

უკანასკნელად დაღვრილ სისხლ ახალი კიდევ გამოშრალი... სწორედ ამ მდგომარეობის სიმწვევემ გამოიწვია ახალსისხლებელი ორგანოს შექმნა. ჩვენმა ჟურნალმა უნდა იპოვოს ახალი გზით, იპოვოს საერთო ენა. დღეს საერთო ენის გამოჩენის სურვილი თვით მუშებს ეკუთვნის. მათ სთქვამს: აღარ შეგვიძლია დღემილი, აღარ გვიწინდა მკვლართა ყოფნა....

ერთი რამის თქმა ჩვენ ყოფილ მუშა-მწევიებს არ უნდა შეგვრცხვებ... ეს ის, რომ კომუნისტური ხაზი გამოდგა უფრო მარქსისტული, უფრო რევოლუციონური ჩვენი სამ წლის ნახევრის პოლიტიკა, შავი ზღვისკენ უფრება, ევროპის მხრით შევიდეს და განთავისუფლების მოლოდინი გამოადგა უნაყოფო, ყაღბი. ამან გამოიწვია ბევრი არა სასურველი შედეგები. ამის თქმის არ უნდა შეგვრცხვებ, მაგრამ ამასთან ჩვენ ისიც უნდა ვსთავაოთ, რომ ჩვენ არც ჩვენი წარსულის უნდა გვეთავილებოდეს... მუშათა მწევიზმს არ სჭიბია ჩრქვი... შეცდომა ყველგანაა. არ სცდებია ის, ვინც არაფერს აკეთებს. მწევიზმს კი აქვს ბევრი კარგი და რევოლუციონური, რომლის დღეწყება შეუძლებელია. ჩვენ არავის ვლანძღვთ, არავის ვაყენებთ. ჩვენ საერთო შეცდომას სხვის თავზე არ მოვახვევთ... საერთო შეცდომისათვის ყველამ საერთოდ უნდა ვავით პასუხი.

ჩვენ ვხედავთ კომუნისტების დაულალავ შრომას ენერჯიას და მიედიკატ მათთან სამუშაოდ... ჩვენ გვინდა მათ ჩვენც შეუწყუთო ხელი. შემონახული ენერჯია საერთო საქმეს წინ წასწევს.

ამდენი ხანია გარედ ვიღებთ. გარედინ: უცქერილით კომუნისტების მუშაობას. ვხედავდით მათ ცულს და კარვს შარავს დადებით, საქმიან მუშაობასთან ერთად.

„ახალმა გზამ“ კვარდი არ უნდა აუხვიოს დადებით, საქმიან კრიტიკასაც. საქმიანი კრიტიკა სასურველია, სარგებლობის მომხრეა.

„ახალმა გზამ“ არა თუ აქ საქართველოში მყოფი ყოფილი მწევიკები უნდა შეგაკვიროს და საერთო მუშაობის ჩაბნას, არამედ მან რუსეთში გადასახლებული და საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგებსაც უნდა მოუწოდოს: მოდიოთ ჩვენთან, თქვენ საქირონი ხართ ჩვენი საქმისთვის... მოდიოთ და ნახეთ... კეთდება ის, რის გაკეთებაც ჩვენ ყველას გვინდობა...

თვით დამოუკიდებლობის და გაერთიანების საკითხშიც სადამ ნამდვილ სოციალისტებს შორის აღარაფერია.

სამუშაოთა ერთი გარემოება: გაერთიანება ვერ ხდება სასურველად და ამასი ჩვენც ვართ დამანავერ. ზოგი არ ეყარებოთ, ხელს ეუშობოთ. ზოგნი ემუშაობთ მათთან, მაგრამ აღარ ევაჭებს ნდობა... ეს ნდობა უნდა აღსდგას... ჩატელიო ხიდი უნდა გასწორდეს და ეს მოხდება მაშინ, როდესაც არც ერთი მუშა და გლეხი აღარ დარჩება ვანზე.

შინაურ საკითხებში „ახალი გზა“ უნდა ეცადოს, რომ დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში, როგორც მართველი ისე დანარჩენი ერი წინ წასწიოს კულტურულად და ეკონომიურად. „ახალი გზა“ უნდა შეგბოდოს ყოველგვარ შოვინისტურ მიდრეკილებას, საიდანაც არ უნდა გამოდიოდეს ის. ამის თავდება ის გარემოება, რომ ჟურნალი მუშურია, სათავეში მუშები უდგანან. ის სიამოვნებით ეგებება ჩვენი მოწინავე ინტელიგენტის სურვილს—იმუშაონ ჩვენთან ერთად.

ეს გარემოება კიდევ მეტ იმდეს გვაძლევს დანიშნულ ხაზის გატარებაში...

მას გაუმარჯოს ამ ჩვენს ახალ ჟურნალს, ახალი გზის მაკვნებელს.

ბ. დოლიძე.

დროა გონს მოვიღათ.

დღმა მოძღვარმა ჩვენ, მუშებს გვიან დურძა: „განთავისუფლება მუშებისა უნდა მოხდეს თვით მუშებისავე ხელით“. ეს მცნება. ეს ანდერძი. ჩვენ მუშებს კუველ ფეხის გადადგმაზე უნდა გვახსოვდეს. ჩვენ მუშებმა, ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა ვაეკეთოთ. სხვისი იმედი ნურასოდეს ნუ გვექნება. ისტორიამ ჩვენ გვარგუნა წილად კაცობრიობის განთავისუფლება. ჩვენ გვარგუნა ისტორიამ სოციალიზმის გამოქვეყნება. სხვა არავინ მოგვეცემს, არავინ მოგვითანს მას. ჩვენ ყველანი ჩამოგვმორღებინა. იყო დრო, როდესაც საქართველოს მუშათა კლასი, როგორც ერთი კაცი, რუსეთის მუშათა კლასთან ხელის-ხელს დაეხმარებოდა თავიანთი მუშათა თვითმპყრობელობას, მასთან ერთად იზიარებდა ჭირსა და ღვინს. ერთად ისწრაფოდნენ ძმობა, ერთობა, თავისუფლებისკენ. ერთად ებრძოდათ თავისუფლების დროსა და მიდიოდნენ წინ სოციალიზმის დასამყარებლად.

მართალია ამ ბრძოლამ აუარებელი მსხვერპლი შეიწირა. საუკეთესო ნაწილი მუშათა კლასისა ასობითა და ათასობით დაეცა ბრძოლის ველზე. ასობით და ათასობით დაიღუპა ციხე-ციმბირში და კატორგებში. მაგრამ მდგარმა და შეფრთხელებმა ბრძოლამ თავისი გაიტანა. თვითმპყრობელობის ტახტი დაინგრა, დაიღწეა სამუდამოდ მუშათა კლასის მონობის ჯაჭვები. მუშათა კლასმა ამოისუნთქა თავისუფლება. ასი წლიან წილში მოკაცულ, დამონაებელი თვითმპყრობელობის მიერ სწრაფად გაიმხრდა და თავი მაღლა ასწია და გამარჯვებულმა მიიხიბლ-მოიხიბდა. თვითმპყრობელობის განადგურების შემდეგ მუშათა კლასს ჩამოშორდა ყველა დანარჩენი ელემენტები. ის დარჩა განპარტოვებული. თვით მუშათა კლასშიაც მოხდა განხეთქილება რევოლუციის მსვლელობაზე მიზნების შესახებ. მუშათა კლასი გაყოფილია ორ ზანაკად და ნაღვერდება. სუსტდება ერთი-მეორესთან ბრძოლაში. ნუ თუ ჩვენგანი ვინმე წარმოიდგენდა იმას, რომ თვითმპყრობელობის დანგრევის შემდეგ, მუშათა კლასის ძლიერ ძალა უკაში გაიჩნებოდა და ერთი-მეორეს სამკდრო-სასიცოცხლო ომს გამოუცხადებდა? ნუ თუ ამას ვიფიქრებდით ოდესმე, რომ ციხე-კატორა და ციხერაში ვაძნაყენები სოციალისტები-სოციალისტებსევე დაიხრებოდნენ? კვეციანს დაქვეას ვიფიქრებდი და ამას კი ვერ წარმოიდგენდი. მოხდა ის, რაც არ მომხდარა ისტორიაში. მაგრამ ვინ უნდა დასდოს ამას მალამო? ისევ ჩვენ, მუშებმა. სხვები უფრო აღმარებულნი ჭრადობას. თუ რუსეთის რევოლუციის ერთი უღრმესი მიზანთაგანი იყო მუშათა კლასის განთავისუფლება, მეორე ასეთივე მიზანი იყო დაჩაგრულ-ეროვნებათა განთავისუფლება.

ორივე საკითხი უფრო მკაფიოდ და გადაჭრით დაყენა ოქტომბრის რევოლუციამ და ამ რევოლუციის შედეგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. ეს იყო უღრმესი მიზანის მიღწევა საქართველოსათვის. ჩვენი შეცდომა იყო არა დამოუკიდებლობის გამოწვევება, არამედ იმ რევოლუციასთან საერთო ენის გამოუნახებლობა, რომელმაც შვა საქართველოს დამოუკიდებლობა. ასეთი ბრძოლა დღემდე გძირდება, აწინ მიიყვანა

საქართველო დღევანდელ დამღუპველ შედეგებამდე. ჩვენ დადევითი საბჭოთა პლატფორმაზე. ჩვენ ამ პლატფორმაზე დადევითი და მის შემდეგ სრულ კონტაქტში ვმუშაობთ ხელისუფლებასთან. ამ მუშაობამ ჯერჯერობით კარგი შედეგები მოიტანა. მუშათა კომისიის მუშაობა მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუ ძველი მუშაობა მუშები ჩვენთან იქნებიან და დავგეგმარებთ მუშაობაში.

გ. მაკარაძე

ვინ გვაქანის მოუღალატე?

ვის ეუღალატეთ, რომ გვეძახიან ამ სახელს? რაშია საქმე, მართლა ეუღალატეთ ვისმეს? ხშირად წერითობით შეკითხვით მოგვამბობენ კრებულებზე: რა მოგვცეს, რომ შენ ასე იქცევი? არალეგალური ბიუროც თავის ფურცელში მოსკოვის ადვინტად გენათლავს. ანას გვაპარალებენ ისეთი მენშევიკები, რომელთაც თავში სოლითი აქვთ ჩარქობილი, თითქოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეცდომის მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკურ პარტიას. ამის მეტეს მხსნელს და პარტიის ვერსად ზედავე. ესენი ფიქრობენ, რომ საქართველოს მუშა და გლეხი მათ მონაპოვოსა შეადგენს.

ჩვენ კი უკვე ვხედავთ და დავრწმუნდით, რომ მენშევიკურმა პარტიამ ვერ გააძაბოდა ხალხის იმედი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების დღიდან. 1921 წ. დამარცხების შემდეგ კი ამ პარტიამ სრულიად დატყარა გზა და კვალა, ის ამ წლიდან უნდა ჩაითვალოს მეტად მძიმე ავადმყოფად.

ამ უკანასკნელი ავანტიურის შემდეგ ის მკვდარია ქართველი მუშა და გლეხისათვის. ცნობილია, რომ მკედარს საფლავში არც ერთი მშობელი და ნათესავი არ ჩაყოლია. მეც ერთ ამ ნათესავთა როლში ვიყავი და მიწაში არ ჩაყოფივარ იმროტ, რომ ჩემთვის ის დიდხინის ავადმყოფი იყო და დიდი ხნის ავადმყოფობა ჭირის-უფლებს აბეგრებს თავს და როცა ვარდაცვლდება, იმას მაინც და მაინც არ სწყენია. მე ეს აღწინაშე თქვამებოთ თვის წინად ციხეში, მაშინ მე ზოგიერთებმა ფაშისტი მიწოდეს. როცა ელვალური საშველმა მომეცა, უფრო დამოუკიდებლობის საქმეს და დავრწმუნდით ჩემი შეზღუდვების სრულს კუშმარტებაში და პარტიის ტაქტიკის დამღუპველ შედეგებში. მე და ამბ. გეგმარებე კიდევ ამა წლის მარტში ვანფრახეთს პარტიის ტაქტიკის წინააღმდეგ წამოსვლა. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეთ, რადგანაც ამას ხელი მუშებმა ისინება ხალხმა, რომელთაც ანასოლეს თითი თითზე არ დაუჭრათ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და რომელმაც უშთაქმნა ეყრდნობოდა უკანასკნელ ხანში მენშევიკურ პარტია. ასე დარჩა ჩვენი მამინდელი ფიქრები შუუსრულბელები. როცა მოკაირთ უფრო აუქან-ყენის მოწყობის მოხდებას, მაშინვე მოეთხოვეთ არალეგალურ ცქას ადგილ ხელი ამ ავანტიურაზე. პასუხად იმით გეითბრეს, რომ ასეთი სისულულეს ჩადენა ჩვენ სიხრბრათაც არ მოგვსვლიაო. ებლა უკვე ყველამ იცის, თუ რა უხველურება დაატებს ქართველ ხალხს თავის მოქმედებებში.

დღეს თუ მე უფრო ხმაშლია გამოვილაშქრე თქვენს წინააღმდეგ და მოუწოდებ ყველას გასწყვიტოს თქვენთან კავშირი, ამას მოითხოვს საერთო ინტერესები და ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა თქვენი ავანტიურის შედეგად. თუ ეს ღალატია, ნეტავ ეს ღალატი ამ ერთი წლის წინად ჩამედინა და მაშინ გამოესულიყავით უფრო მეტად და აშკარად თქვენს წინააღმდეგ და იქნება გეგხსნა ხალხი ამ განადგურებიდან, რომელიც თქვენ დაატებთ თავზე. ჩვენ ვხედავთ ჩვენს დანაშაულებას მხოლოდ იმაში, რომ შეტი სიამდგრე და გაბედულება ვერ გამოვიჩინეთ მაშინ თქვენს წინააღმდეგ ზრდილაში. ეს აშკარაა. ქართველ ხალხს შეუძლია ბრალი დაგვედოს. დღეს უკვე ყველასათვის აშკარაა ვინ მოქმედებდა და მოქმედებს ხალხის სასარგებლოდ. ვინ არის ქართველი

ხალხის აგენტი და ვინ არის მისი მოსისხლე მტრის აგენტი? ჩვენ, რომელიც ურჩევთ ქართველ ხალხს თავის საკუთარ ძალას დაეყრდნოს და ისე ააღორძინოს თავის კულტურა და შექმნას დამოუკიდებლობა, თუ თქვენ, რომელიც ატყველებთ ხალხს, სხვის იმდენ უნერგავთ გულში, მთავა და ვაგენთავისუფლებსო, ვუბნებთ. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი მუშა, გლეხი და შრომელი ინტელიგენცია ამაში თანდათან რწმუნდება და რაც მალე მოიშორებს თავიდან ამ იყედებს და დაემყარება მხოლოდ თავის ძალას და ამ ძალაზე დაყრდნობილი გააუმჯობესებს თავის მდგომარეობას, მით უკეთესი და უფრო მალე დააწყებს თავს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნა ამ უკანასკნელთა ავანტიურამ.

პეტრე ხურცილავა.

საქართველოს დამოუკიდებლობა და კომუნისტური განვითარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არის ჯერ ეკონომიური და მერე პოლიტიკური საკითხი.

ჩვენი დროის ეკონომისტები“ ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ კოლონიალური პოლიტიკის შესახებ, თუმცა მათი ნალაპარაკე-ნაწერებიდან არ სჩანს, გაეგებთ რამე თუ არა მათ კოლონიალური პოლიტიკაში.—რუსეთის მიაქვს საქართველოდან ყველაფერი, რის წოდებაც შეუძლიათ.

...—სად არის ის განვითარებული ეკონომიკა საქართველოსი, რომელიც მიითვისა რუსეთიანო...—ამისთანა ზოგად ფარგლებშია დავა.

ისტორიას კი საკითხი დაყენებული აქვს სხვა ნაბრათ.

ისტორია გვეკითხება,—შესაძლებელია თუ არა საქართველოს ეკონომიური განვითარება ცალკე არსებობით, თავისი მთავრობით და თავის საზღვრებში.

რა პასუხს იძლევა ამ კითხვებზე ის მებრძოლი მხარე, რომელსაც სათავეში უდგას ნ. ჟორდანიანი?

საზღვარგარეთ, 1921 წელს, 7-ნომებერს, ამიერკავკასიის და ჩრდილო-კავკასიის ყოფილ მთავრობების წარმომადგენლებს ქონდათ თათბირი საფრანგეთის მინისტრთან. თათბირს თავმჯდომარეობდა აკ. ჩხენკელი. თათბირის ოქმში ვკითხვებით:

მინისტრი ლუმერი.—საფრანგეთი ძალიან მეგობრულათ უყრუებს კავკასიის რესპუბლიკებს. საქართველოში მგონია სოციალისტური რესპუბლიკა იყო.

ჩხენკელი.—ჩვენ ხაზი უნდა გვუსვით იმ გარემოებას, რომ ჩვენი ხალხური, და მართვა-გამგეობის წესი ჩვენში შეტის-შეტით დემოკრატიულია. მთავი მიზანია განვიერი დემოკრატიზმი და სოციალიზმი, პატივს სცემენ ყერძო საკუთრების პრინციპს, უტხოვებენ. ის უფლებებს...

ლუმერი.—ჩვენ არაფერი არ გვაქვს სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ, მეტადრე თუ პატივსცემით ეკიდება ის ყერძო საკუთრების პრინციპებს. გადავიდეთ ახლა მიმდინარე კითხვებზე... ჩვენ წინაა ეკონომიური და ფინანსიური კითხვები. რა დახმარებას უღიან საფრან-

გეთისგან ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლები კანონიერი და ხალხის ინტერესების შესაფერ ძალა-უფლებების აღდგენაში. რითი შეიძლება დახმარება გაუწიოს საფრანგეთმა ბალწევიკებისაგან განთავისუფლების შემდეგ იმ რესპუბლიკების კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას.—საფრანგეთს აქვს საშუალება დაეხმაროს მასალებით, მანქანებით, იარაღით და სხვათა შორის ფულითაც. რას მოგვეცემენ კავკასიის რესპუბლიკები სამაგიეროთ, რა ღირებულებებს მოგვეცემენ ვალიუტის, ნედლი მასალის, მადნეულობის სახით პირველ ხანებშივე იმ დახმარებების ნაცვლად, რომელსაც გფუწებს მათ საფრანგეთი. თქვენ შევი ქვეც ვაქეთ, მგონია...

ჩემოვეი (ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენელი)—მე უნდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ 95% ე. წ. რუსეთის ნავთის, იშოვება გარონა-ბაქოში... ჩოგორც კი გაიდევნებთან ბალწევიკები, ამას დასჭირდება სამი თვის დრო და ასე ათასი ფრანკი ფული, პირველ რიგშივე შესაძლებელი გახდება ნავთის მიღება ბათუმის გზით.

ჩხენკელი.—მე უნდა მოვასხნოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია თქვენი ხარჯების დაფარვა საფარეო გადასახადებით, რკინის ხეს შემოსავლებით და სხვ.

მეითხილი ხედავს, ამ თათბირში მონაწილეების აზრით, საქართველოს არ შეუძლია თავისი ძალეობით უცხოეთთან მიკედლებულათ თავის მოკლა, ის უნდა ღებულობდეს დახმარებას და პირველ ხანებშივე „ამ დახმარებისთვის“ ათდევდეს სამაგიეროს ბუნებრივი სიმდიდრის და ფულის სახით.

საფრანგეთი არ ჩაერევა, ვთქვათ, პოლიტიკურ ზართვა-გამგეობაში. საქართველოს ექნება თავისი პარლამენტი და ეყოლება თავისი ნებით არჩეული მთავრობა. საქართველოს მებრძოლების მუქმუბზე კი დაწაფებული იქნება უცხოეთის კაპიტალი.

შეიძლება. მაშასადამე საკუთარი დემოკრატიული წესწყობილება და სხვის ხელში გადასული ეკონომიკა. შეიძლება თავისუფლათ არჩეული მთავრობა გეყოლოს აქ

და შენი ავლადიდება სხვას მიჰონდეს. შეიძლება დემოკრატიკა გვიღდეს სახლში და ეკონომიური დამოკიდებულების საძირკველი არ გვიარგოდეს.

საქართველოს ცალკე არსებობით გადაქცევა სამრეწველო ქვეყნად არ სწამს ღღევანდელ მმართველ პარტიას. ის სამჭოთა მთელს კავშირს უკავშირებს საქართველოს ეკონომიკას. მე-XII ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციებში სწერია, სხვათა შორის, რომ რუსეთის მოკავშირე პარტია ერები ერთბაშით ვერ ისარგებლებენ ეროვნული თანასწორობის უფლებებით. ამის მიზეზია ის რომ მეფის დროის და ბურჟუაზიის პოლიტიკა განაპირა ქვეყნებს მართო ნედლეული მასალის წყაროთ იგულისხმება. ეს მასალა მიჰონდა, ცენტრალური სამრეწველო რაიონი ამითი ეწყოდა პარტიების ეკონომიურ ექსპლუატაციას. უცებ ვერ მოერგო ამ უთანასწორობას, ერთსა და ორ წელიწადში არ მოინდებდა ამნაირი შემცირება. აუცილებელი იყო არის დაძლევა იმ შემცირებების და ეს შეიძლება იმ დახმარებით, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატიც გაუწევს ეკონომიურად ჩამორჩენილ შოკაეშირებს ეკონომიურ და კულტურული აღორძინების საქმეში. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ეროვნულ რესპუბლიკებში ხელი შეეწყოს სამრეწველო კერების შექმნას (кыанчыууа оуарос) და რაც შეიძლება მეტი შრომობილი ხალხი იქნეს ჩამბული ამ მრეწველობაში.

ამ რეზოლუციამთ თორეტიკალით სწორია დაყენებული საკითხი, თუ დიდ სახელწიფიოს პარტიასაგან მიიქვს ნედლი მასალა, ამას ახეშავებს თავის ფაბრიკა-

ქარხნებში და მერე აქ ყიდის ამ მასალიდან გამოყვანილ საქონელს, მაშინ ეს პარტია ქვეყანა იქცევა იმ დიდი სახელმწიფოს ახალმენათ, კოლონიათ. მაშინ არ შეიძლება დაპარტიკო ეროვნულ დამოუკიდებლობაზე. თუ შენი საცხოვრებელი წყარო სხვის ხელში იქნა, თითონ შენც სხვისაგან იქნები დამოკიდებული.

ინიჭით, თუ შენ მიწა-წყალზე გექნა სამრეწველო კერა—საკუთარი ფაბრიკა-ქარხნები, თუ შენი ბაზის, მატულის და სხვა ნედლეული მასალის ნაწილს გარეთ გაიტაცა ვასასაღებლათ, ნაწილს თითონვე გადააწეშავებ საკუთარ ფაბრიკა-ქარხნებში, მაშინ შენი საცხოვრებელი წყარო სხვი ხელშივე დაგრჩება. ეკონომიურათ აღარ იქნები შენი შემცირე და შენი ქვეყანა მაშინ კოლონიათ აღარ გადაიქცევა.

მაშასადამე საქმე იმაშია, ექნება თუ არა საქართველოს თავისი მრეწველობა, ან ნედლეული მასალის ქვეყანა იქნება მარტო. პირველ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას ექნება მტკიცე ეკონომიური საძირკველი, მეორე შემთხვევაში ის ვახლება კოლონიათ.

მე-XII ყრილობის დადგენილებები იძლევიან ეკონომიურ დამოუკიდებლობის შესაძლებლობას.

არაუგალორ მუშაობაში ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი დაქვეყული იყო საგარეო საკითხით, გარეთ, ცხრა ვაის იქით ექმნებ იმის გადაჭრას. სინამდვილე უკ გვეგებნება, რომ ეს შინაური საკითხია და უნდა გადიჭვას სამჭოთა კავშირის ფარგლებში.

მინს აპრთივლი ხალხის მტარი არ არის, უნდა გიიწიაროს გვანი კლასტურება.

საქართველოს პროლეტარიატმა გვერდი აუხვია მახინჯი გზით სიარულს, და დადგა ნამდვილ რევოლიუციონურ გზას. ამას უკარნახებდა მას ღღევანდელი სინამდვილე. 7-8 ოქტომბერს ძველ რევოლიუციონურ უბანში ნამაღდევში მან თავისი მძლავრი ხმით რევოლიუციონური სიტყვა სთქვა და უკანასკნელად უთხრა თავის თავს: კმარა სხვისი იმედით სიარული და ევროპისაგან ცქერა, რასაც შეუძლია მხოლოდ დაღუპოს საქართველო.

ღღევანდელი ის იგლის პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმისაგან და საქართველოს კემშირით დამოუკიდებლობისაგან. ეს არის, ერთად ერთი გზა, ამისთვის მენშევიკების ცკვამ „მოსკოვის აგენტებად“ მოგვანალა. მე გკითხვებით თქვენ: რა უწოდით იმ პარტიას, რომელიც ხალხს მოუწოდებს აჯანყებისაგან, იმედს აძლევს ევროპის სახელმწიფოების დახმარებისას და ნამდვილათ იყო იცის, რომ ამ ხალხს არც თოფი აქვთ, არც პარტონა, ვერ დიემარება ვერც მეორე ინტერნაციონალი და წინასწარი იცის, რომ ეს აჯანყება იქნება ჩაქრბილი და რაც ყველაზე უარესია, ის აბეჭადებს ხალხს, რომ წითელი ჯარი ვერ გამოვა აჯანყებულების წინააღმდეგ, რადგანაც პირობა აქვთ დადებული ევროპასთან; თქვენ თვალ უნდა მონახათ თქვენი სახელი და სასჯელიც.

მაგრამ ვინც ეს უკანასკნელი დანაშაული ჩილინა. განა ამ პარტიას ექმნება პოლიტიკური სინდისი და გამბედაობა თვითგანამართლების? ასეთი პარტიისათვის ხალხს და ქართველ ერს ერთი ვანაჩენი ექვს—მისი პოლიტიკური სიკვდილი. ქართველი ერი ვერ გაყვება დღეის შემდეგ იმ პარტიას, რომელმაც თავის უფუფური ტაქტიკით, უძლური მოქმედებით, პოლიტიკური აღლის დაპირებით მოუშადა ხიადიკო 21 წ. 25 თებერვალს, 23 წლის 25 აგვისტოს და 24 წლის 28-30 აგვისტოს. ვინც დაუეკირდება ამ ისტორიულ აქტებს, უნდა მიხედვს, რომ ეს პარტია მთლად განადღურებს საქართველოს, თუ მან არ შეაქცია მას ზურგი და არ დააღვა ახალს გზას, რომელიც გამოიყვანს მას იმ ჩიხიდან, რომელშიაც მოაქცია ამ უკანასკნელმა ავანტიურამ. ეს გზა არის პროლეტარიატის დიქტატურის—სამჭოთა კავშირის გზით, ხალხთა დამოუკიდებლობის გზით სოციალიზმისაგან.

ჩვენ მოუწოდებთ ყველას, ვინც კიდევ არ განთავისუფლებულა ავანტიურიზმის გზის იმედებისაგან, ჩაუკვიროდეს ამ ორ გზას. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა თავისი სალი გუნებით დაამუშავს მენშევიკურს და არჩევს და შემოუერთდება ჩვენს ახალს გზას.

ბ. გვირგვინი.

კვლ მემოგრაფს.

სამ წელზე მეტია რაც იმ გზით მივდივართ, რომელიც არ გამოდგა სწორე და მიზნის დაახლოების მაგიერ დაგვაშორა მას, დაგვაზინა, პოლიტიკურ ს-ბეტიმდე მიგ-ვუყვანა.

თუ პირველ ხანებში ძნელი გასათვალისწინებელი რყო ყველა ის ვარემოებები, ყველა ის შეცდომები, რომელიც ჩვენს შუშობას თან დაჰყვა, შემდეგში ხომ მაინც ჭნდა დავგენახა ყველაფერი ეს და შევცდილიყავით სხვა გზის გამონახვას, სხვა ხაზის აღებას?

ეს ვერ მოხერხა მენშევიკურმა-პარტიამ და მტოქმ თითონაც დანგრეა და ხალხსა დიდ მსხვერპლი გააღებინა. მსხვერპლი ჩვენისთანა პატარა ერისათვის გამანადგურებელი, დამღუჭველი.

ამის შეგნება რომ დღესაც არ იყოს ქართველ მშრომელში, საქართველოს საქმე მართლაც წასული იქნებოდა, ჭამამორჩენებაზე ველარაინ იფიქრებდა.

უნდა ეთქვა, რომ თბილისის შეგნებული მუშები მენშევიკურ ციკას მუშაობას თითქმის თავიდანვე აღმა-ცკრად უყურებდნენ და მუდამ ეჭვს გამოთქვამდნენ მუშაობის ნაყოფიერებაზე. ხშირად იყო შემთხვევები, როცა თბილისის მუშებს თავს ახვევდნენ მასთვის მიუღებელ დადგენილებას შემდეგი მოტივებით: ევროპისთვის აქვს ამას უნიშვნელობა და იმ სხვადასხვა კონფერენციებისათვის, რომელიც უნდა ყოფილიყო მოწვეული რუსეთის სა-კითხის გარშემო.

ყველა ამებიდან რომ არაფერს ვამოვიდა, ხომ დავინახეთ; ბევრი ტყუილი პაი-ჭეით რომ ხეიო მეფეყვეთ ავანტიურას, ხალხის განადგურებას, ესეც ხომ სადავო აღარ არის? მამ რაზმა საქმე, რად არ ეტოვებთ მრუდღე გზას, რად ვერ გპოულობთ სწორი გზას, სწორი ხაზს?

ჩემის თიქრით, გრძნობას ავყვეით, ბუტიო-ობას შევეყვეით და მას თავს ველარ ვახყვეთ. ამით აიხ-სნება ის გარემოება, რომ მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი გრუტობს ცნოს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, ამოუდგეს მის ვეერადი და გულწრფელად იმუშაოს ქარ-თეილი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ამ მცირე ნაწილს ზონია, რომ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ტან-ჯეა-შინილიში ცხოვრება რაიმე საარგებლობას მოუტანს ვისმის. არა და არა, მეგობრებო! პირიქით, რომელიმე თქვენგანმა რომ თვისი ქვეყანაში თუნდაც უბრალო ქე-ჩის დამკველის ალაგი დიკავოს, ეს უფრო სასარგებლოა ქვეყნისა და ხალხისათვის.

თბილისის მოწინავე მუშებისაგან ნაბიჯი ნაბიჯზე გადადგმული აქვთენ და ახლა თქვენზეა რეგი: თქვენც უნდა მოვაყვეთ.—ჩვეულებრივი სიტყვებით: ის მოლატრეა, ის დაუბღუტა, ეერ გაუფლო ბრძოლასო, ამის შემდეგ ამის თქმა აღარ შეიძლება—საითყენაც თბილისის მუშე-ბი პირს იბრუნებენ, აქითენ ლალატს ალაგი აღარ ეტება.

დამოუყდებელი საბჭოთა საქართველო—ჩვენთვის სრულიად მისაღებია: კავშირი ყოფნა საბჭოთა რუსეთთან—ყოველმხრივ ჩვენთვის სასარგებლოა. საკირაა მხო-ლოდ ამ მხრივ ჩვენი ყველა ძალების ამუშავება, მისი გამოყენება მშრომელთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

მე არავის არ მოუწოდებ—გსურს თუ არა, კომუნისტურ პარტიაში შედი-თქო, მაგრამ ერთი კია —საბჭო-თა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა და კომპარტიასთან დაახლოება აუცილებელია, თუ გვსურს რისამე ვაკეთებო.

ძირს ბუტიობა! ძირს გრძნობათა აყოლა!

მეტი სიხეზიხე, მეტი ვამპრიახობა და წინ გაგწი-ოთ ყველამ უფრო სწორი გზით, რომ მივახწიოთ აღ-თქმულ ქვეყანას—კომუნისტს, სოციალიზმს.

ასითამყობი ს. ვადაკორია.

გიორგი ქაჩიავის ლექსები

I. მისაღმება ამხ. მუშებისადმი.

ქუდს გიხდით და სალამს გითვლით,
სალამს, წითელ-ფრთხანს,
იმედანს,
ხალისიანს,
ბრძოლის ყივიანს!

II. მშრომელ ხალხს.

მუნეუ ძლიერ და მტკიცედ
არავინ შეკარბია;
შენი ჭირი და ლხინი
უბით მიტარებია.

რა წაშს უიმედობა
შენს სულს მიკარბია,—
მყისვე გამამხნეებლად
ჩანვი მივღერებია.

როგორც გრაცების დედა
გზრდილი, გავაეცკებლი;
ხელში მიხელს, ვაძლევლი,
ბრძოლისკენ გიტაცებლი.

დღესაც ისევ შენთან ვარ,
მუნეუ შევყარებელი;
მრავალ ჭირნახულობით
აღრე გათფრებელი.

წარსულიდან.

პირველყოფილი კომუნისში.—კერძო საკუთრების აღორძინება.—მოთხიბა და ძველი საბერძნეთი.—პლატონი და მისი ახალი სახელმწიფო.

ვინ არ იცის დღეს, რომ მთელი კაცობრიობა ორ დიდ ბანაკად არის გაყოფილი: ერთია მუშა ხალხი ანუ პროლეტარიატი, მეორე—სხვისი შრომით გაღატაკებული ანუ ბურჟუაზია.

ბერალოდ რომ ეთქვას, ჩვენებურად, ერთ ბანაკში თავს იყრიან ღარიბები, მეორეში—მდიდრები. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, რომლებიც არც მუშებს ეკუთვნებიან, არც ბურჟუაზიას, ხოლო ესენი თავს იყრიან ან ერთი ბანაკის, ან მეორე ბანაკის ვარგუშვით, იმისდა მიხედვით, თუ თავისი შეგნებითა და გულთი ვინ ვის ემხრობა.

დღეს გაათვრებული ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის, ბრძოლა სასტიკი, მკაცრი, უღმობელი. თუ ვინმე იფიქრებს, რომ ეს ბრძოლა ახლანდელი დაწყებულია, ფრიალ შემცდარი იქნება.

რატომ?

მიიტომ რომ მდიდარი და ღარიბი, მუშა და მისი ნაოფლარის მიმოვისებული უძველესი დროიდან არსებობენ. მაშასადამე, უძველესი დროიდანვე უნდა განაღებულ იქნეს მათ შორის წინააღმდეგობა, უკმაყოფილება და შტრობა.

სადღე მტრობაა, იქ ბოლოს და ბოლოს ბრძოლაც იჩენს თავს.

უძველეს დროს, რამოდენიმე ათასი წლის წინად, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს შეადგენდა საერთო საზოგადო საკუთრება, კაცობრიობა ცხოვრობდა მამა-შინ სხვადასხვა ჯგუფებად ანუ თემებად. თვითივე თემს თავისი უფროსი ჰყავდა.

რა იყო სიმდიდრე ან სიღარიბე, ჩემი, შენი—მაშინ-დღეს ადამიანმა არ იცოდა.

ცხოვრებაში ამგვარ მოვლენას არ ჰქონდა ალავი; აშიტომ ადამიანის აზროვნებაშიაც არ იყო მისი შესაფერისი მცენება.

ყველა ამათ ნაკლებად მაშინდელი ადამიანის ენაზე იყო მხოლოდ ერთი სიტყვა: ჩვენი და ამ მსგებს ცხოვრებაში შეფერხებოდა საერთო საკუთრება.

ყოველისფერი ყველას ეკუთვნოდა და არავითარი კვიბო საკუთრება არ არსებობდა.

შრომა საფაღებელი იყო ყველასათვის, რადგანაც უშრომელად თავს ვერავინ იჩენდა. ყველა ერთი მეორისათვის შრომობდა და თვითიველი ყველასათვის.

ბატონი და კმა, თავადი და ვლესი, მუშა და ბურჟუა მაშინ არსად იყო: ყველა იყო ტოლი და სწორი.

ეს იყო პირველყოფილი კომუნისში.

ეს იყო პირველყოფილი კომუნისში. გასული დრომ და პირველყოფილი კომუნისში ნელ-ნელა დაიშალა და მისი ადგილი დაიკავა კერძო საკუთრებამ.

რა იყო ამის მიზეზი?

უძველესი ადამიანი მოკლებული იყო ყოველგვარ იარაღს ბუნებასთან საბრძოლველად: უმაღ გამოიგონა მან ხის იარაღი, ჯოხისა და კეტის ხმარება და სხვ. შემდეგ ქვის იარაღი, ბოლოს რკინისა.

ამ მარტივი იარაღების ამარა დიდხანს იყო ადამიანი. მან ისწავლა მიწის დამუშავება, ხორბლეულობის მოყვანა. ყოველივე ამან კი ძირიანად შეცვალა პირველყოფილი ცხოვრება.

მიწა ბევრი იყო; ყოველმა ოჯახმა შემოიფარგლა თავისთვის საჭირო მიწა და გააჩაღ საკუთარი მფურინობა. ამგვარად ჩაიყარა საძირკველი კერძო საკუთრებისა. ხალხი გამარჯვდა. კარგი მიწის სივრცე შეძიქირდა და ამის გამო მას ფასი დაედო, ყველა თავის საკუთრებას გაუღატაკდა.

შეიქნა დაეა მიწის საკუთრების ვარგუშვით, ცარცვა-გლეჯვა, წარამევა, მტაცებლობა, ჩხუბი, მიწით ვაჭრობა. ზოგმა ვაჭრობისა და მოხერხებით შეიძინა ბოლომად საუკეთესო მიწა, სხვებმა ძალიანობით და ამ რიგად კერძო საკუთრებამ ადამიანი ადამიანს დაუპირდაპირა, გადაამეტრა და სიმდიდრე და სიღარიბე წარმოიშვა.

ღარიბი ძალაუნებურად ჩაივარდა მდიდარის კლანკეშში; შეიქნა ყველფა, დაჩაგვრა და უსამართლობამ ფრთები გაშალა.

რადგანაც იმ დროს სიმდიდრის უმთავრეს წყარო მიწა იყო, ბევრს აქძრა სურვილი რაც შეიძლება მეტი ადვილ-მამოლის შექმნისა, მაგრამ ძნელი შეიქნა დამუშავება ამიტომ მდიდრები ღარიბებს იჯარით აძლევდნენ მიწას და უძველეს სახელმწიფოებში თავდაპირველად მართლაც მოიკიდა ფრთა ასეთმა წესმა.

მაგრამ შემდეგ და შემდეგ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მოზნების უმუშევრობით მიწის დამუშავება ვაკი-ლეხით უფრო სასარგებლო და მომგებიანი იყო, ვიდრე იჯარით ვაცემა.

მაშინ თავი იჩინა და სწრაფად განვითარდა მონობა და მონებით ვაჭრობა. მონების შეყვანა მდიდრები აწარმოებდნენ ომსა და სისხლის ღირას. დამარცხებულებს მონებად იტოვებდნენ ან მონებად ჰყიდდნენ. მონებთან ვაჭრობა ისე იყო უფრო გაფრთხილებული, როგორც დღეს საქონლით ვაჭრობა. მრავალი ვაჭრების უმთავრეს შემოსავლას მონები შეადგენდნენ: ჰყიდულობდნენ და ჰყიდდნენ.

მონების როცხვი ბოლოს იმდენად გამარჯვდა, რომ თითო მონა ხშირად ერთი მანეთი ფასობდა! ამ რიგად მონობის წყარო შეიქნა ომი. ხოლო მისი წარმომშობი იყო მიწის მუშაობის გაუფართოება და ამავე დროს სამეურნეო მანქანების უქონლობა.

მეტად ბევრი იყო მონები ძველ რომა და საბერძნეთში.

საბერძნეთში მონები მანეთი უფაღ მოქალაქეებზე მეტსჯერ მტრი იყვნენ.

ამ ურიცხვი მონების შრომამ შექმნა ძველი საბერძნეთის კულტურა და ათინა გადააქცია ერთ უმშენიერეს და უდიდეს ქალაქად.

მინების გამარეგებლად მდიდარი მემამულენოვნი გლეხები იჯარით აძლევდნენ თავის მიწებს და გლეხობის უმრავლესობა საიჯარო მიწით სარგებლობდა.

როდესაც მონების რიცხვი ძალიან გამრავალდა და მონა ერთობ გაიადფა, მდიდარმა ბერძენებმა ათასობით გაიჩინეს საკუთარი მონები და მათ ამუშავებდნენ.

სოფლის გლეხობა ულუკმაპუროდ დარჩა, გადატაკდა და მოაწყდა ქალაქების სამუშაოს საძებნელად.

საბერძნეთის ღვდა ქალაქი ათინა მშვირი და ლატაკი გლეხობით აივსო, მაგრამ მაშინ ვერცხე მტრებზე გამარჯვებისა და დიდი ვაჭრობის წყალგობით ათინის ხაზინა მდიდარი იყო; ამიტომ მთავრობამ აჯანყების თავიდან ასაკლუნად შეშლილი საზოგადო სამუშაო ქალაქის გასამშენიერებლად და ყველა საქმე გაუჩინა.

ხელ-ნაღა მთელი ძალა-უფლება მდიდრებმა ჩაიგდეს ხელში და სახელმწიფო ქონება შესკამეს, გაფლანგეს. თავისი მდგომარეობის გასაძვრებლად მდიდრებმა მიმართეს სავაჭრო ომს, დაეკენ პარტას, მაგრამ ომი წააგეს და მხოლოდ დიდი ხარკით გადირჩინეს თავი. ამ ომმა ხაზინა მოლად ერთიანად დააკლიერა; მთავრობამ გააუფუნა საზოგადო სამუშაო; უმუშევრათა რიცხვმა საშინლად იმატა და მუშა ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.

მუშა ხალხის გამოსარჩლება და სამშობლოს ხსნა სრული დაღუპვისაგან თავს იღვა პლატონმა¹, „პოლიტიკა ბრუნება“, „ნოთათებრივმა კაცმა“, როგორც მას ძველად უწოდებდნენ.

პლატონი დაიბადა 429 წელს ჭისიტეს წინად მდიდარ ოჯახში; ის ეკუთვნოდა ძველსა და წარჩინებულ გვაჭრულობას.

თუ რამდენად პარტასს სცემდა მას ხალხი, იქიდანაცა მტკიცდება, რომ ხალხის ოცნებამ პლატონი ღვთის ძედ დასახა.

ხალხური გადმოცემით, როდესაც პლატონის მამამ არისტოტელს პერიკლიონი შეირთო, სისწამში გამოეცხადა მას აპოლინი, ღმერთი ნაილისისა და აუწყა: შენს ცოლს არ მიეკარო, ჩემგან არის ორსულიო. როდესაც პლატონი დაიბადა, ფუტკრები მოფრინდებოდნენ ხოლმე ღმერთის მითიდან და მას თათვლითა ზრდიდნენ, — ამგვარი ხალხური გარდმოცემა.

თანამედროვე მწერლობა და მეცნიერება პლატონმა საფუძვლიანად შეისწავლა და შემდეგ თვითონ მოჰკიდა მწერლობას ხელი, დასწერა რამოდენიმე წიგნი, მაგრამ არ მიუწერია, დახშია ყველა და გადასწყვიტა: ჯერ კიდევ სწავლა მჭირაო.

ოცი წლის პლატონი მიებარა გამოჩენილ ფილოსოფოსს სოკრატეს, რომელმაც პლატონზე დიდი გავლენა იქონია.

ამის შემდეგ პლატონი გახდა სწავლული, ფილოსოფოსი და თავისი მოძღვრებითა და თხზულებებით შორს გაიტოვა სახელი. მისი ნაწარმოები დღესაც კი დიდს ყურადღებით იკითხება, შრავალ თხზულებათა შორის პლა-

ტონსა აქვს „პოლითია“, ანუ წიგნი სახელმწიფოზე. აქ პლატონი გვიხატავს საუკეთესო სახელმწიფო წყობილებას. რისთვის აარსებენ აღმანიები სახელმწიფოს?

ასეთს კითხვას იძლევა პლატონი და თვითონვე უპასუხებს; როდესაც აღმანი რწმუნდება, რომ საკუთარის ძალნით მას არ შეუძლია თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მაშინ ის უერთდება სხვებს და ყველა ერთად აარსებენ სახელმწიფოს. აქედან აშკარაა შენდევნი: სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულება არის მტკიცე რებლები მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

აღმანიის უპირველესი მოთხოვნილება არის სახრლო, შემდეგ სადგომი, ტანისამოსი, მასხადამე სახილმწიფო მისი მთავრობის სახით უნდა ზრუნავდეს მეურნეობაზე, სახლების აშენებასა და სხვადასხვა მასალის—ქსოვილების, ტყავეულობის დამზადებაზე ტანის შესამოსად, ამგვარად მეურნეობა, სახლების შენება და მრეწველობა სახელმწიფოს პირდაპირი და უმთავრესი მოვალეობაა პლატონის აზრით.

თვითუღმა მოქალაქემ ყველა ამ დარგის საქმეს უნდა მოკლავს ხელი, თუ საჭირო არის შრომის განაწილება? პლატონის აზრით სახელმწიფოში მუშაობა საყალბეულ უნდა იყოს ყველასათვის, ხოლო შრომის ნაყოფიერებისათვის აუცილებელია მისი განაწილება.

აქედან ცხადია ისიც, რომ სახელმწიფოში ყველა უნდა იყოს თანასწორ-უფლებიანი.

ამგვარ პირობებში შინაურ უთანხმოებასა და კლასთა შორის ბრძოლას ალავი აღარ ექნება, სამოქალაქო მშვიდობიანობა დამყარდება, ხალხი თანდათან გამრავლდება და ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება სახელმწიფოს სახლურების გავრთობება სახლთესურველთა ხალხის დასაცავად.

ამისთვის საჭიროა ჯარი.

ესეც რომ არ იყოს, შესაძლებელია სახელმწიფოს გარეშე მტერი დაეკეს თავს; იმის მოსაგერებლადაც ჯარი აუცილებელია.

მასხადამე აუცილებელია სახმედრო წოდება, რომელიც მუდამ დარაჯად უნდა უდგეს სახელმწიფოს.

როდესაც სახმედრო წოდებას ასეთი მდიდრი მოვალეობა ექნება სახელმწიფოში დაქირავებულია და ის მუდამ ეამს სადარაჯოზე უნდა იდგეს, ამის გამო ის განთავისუფლებული უნდა იყოს სხვა ყოველგვარი მოვალეობისაგან, რომ ყოველ წამს იყოს მზად და შეგდლოს სახელმწიფოს დაცვა.

მშვიდობიან დროს ჯარის კაცები და საერთოდ სახმედრო პირები სწავლობენ მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას და ტანჯავრეშობას.

ყოველივე ეს კარგი, მაგრამ იქნება ყველამ ჯარისკაცობა მოინდომოს, ვინდა იქნება მიწის მუშა, კლასტოზი, ხელოსანი და სხვა? ამგვარი მოვლენის თავიდან ასაცილებლად პლატონის აზრით საჭიროა საყოველთაო და სავალდებულო აღზრდა და განათლება.

პლატონის სახელმწიფოში ბავშვები დღემამას კი არ ეკუთვნიან, არამედ სახელმწიფოს. ყოველი ბავშვი მიჰყავს დედ-მამას საზოგადო საბავშვო სახლში; ესენი და სხვ. ულესს ცალკე ათავსებენ და შიმშილითა ჰხოკვენ, რად-

ვანაც სწეული თაობა სახელმწიფოსათვის არა თუ უსარგებლოა, სახარალოც არის.

დანარჩენებს სახელმწიფო ზრდის—ვაყენებს—ცალკე, ქალებს—ცალკე.

ვანათლება ერთნაირა ორივე სქისათვის, ტან-ვარჯიშობა სავალდებულო ორივესათვის.

ასეთი აღზრდა-ვანათლებების დროს ყოველ ბავშვს შეეცხოება საკუთარი ნიჭი და მიღრეკილება. ამის მიხედვით აღზრდებილები ჰყოფენ ბავშვებს სხვადასხვა ჯგუფებად და ერთი ჯგუფი მეურნეობას სწავლობს, მეორე ხე-როთმოდგერებას, მესამე მრეწველობას, მეოთხე ექიმობას და სხვ.

ყველაზე ნიჭიერებს, გამბედავებს, გულადებს და მასთან გულკეთილებს ამზადებენ სამხედრო წოდებისათვის. ყველაზე მეტ ყურადღებას პლატონი აქცევს სწორედ ამ სამხედრო პირების აღზრდა-ვანათლებას.

სამხედრო პირებს არა აქვთ არაერთი კერძო საკუთრება. ისინი ცხოვრობენ საერთო საღამომში.

ყოველისთვის, ტრეკ ზომიერი ცხოვრებისათვის საჭიროა, აძლევს მათ მთავრობა. ფუფუნება მათ შორის დაუშვებელია, რადგანაც პლატონის რწმენით მიღირვლი ცხოვრება გონებასაც აჩლუნგებს, ზნეობასაც რყევს; სამხედრო პირი კი თავის განვითარებითა და ზნეობით მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის.

საკუთვთოს მარაველობა, საკუთვთო კანონები, საკუთვთო სახელმწიფო იქ არის, სადაც კერძო საკუთრება არ არსებობს და ყოველივე საერთოა, სწერს პლატონი.

მიუხედავად ამისა პლატონი მაინც უტოვებს კერძო საკუთრებას დანარჩენ მოქალაქეებს, რადგანაც მისი აზრით კერძო საკუთრება იძლეოდ გავრცელებულია, რომ მისი ერთბაშად და სრულად მოსობა შეუძლებელია. ხოლო სახელმწიფომ უნდა შეხლდეს ქონება იმდენად, რომ დიდმა სიმდიდრემ არავის ხელში არ მოვიყაროს თავი

სახელმწიფოს მთელი სახნავ-სათესი მიწა დიკოფოლია თანაბრ ნაჭრებად და თითოეულ მიწის ნუშის ოჯახს ეძლევა თითო ნაჭერი. არც გაყიდვა შეიძლება მიწისა, არც გასაჩუქრება, არც მზითვემი გატანება, არც მემკვიდრეობით გადაცემა. საზოგადოდ მემკვიდრეობა ქონებაზე პლატონის სახელმწიფოში არ არსებობს და ყოველი მოქალაქის სიცივლის შემდეგ მისი ქონება სახელმწიფოს ეკუთვნის. ვინ წარმოადგენს მთავრობას პლატონის სახელმწიფოში?

ყველაზე უფრო ნიჭიერს სამხედრო წოდებიდან, განვითარებულს, განათლებულს, პატიოსნებითა და გულკეთილობით აღუჭრევილს ირჩევენ მთავრობის წევრად.

ამგვარად მთავრობა ეკუთვნის სამხედრო წოდებას და ის ამის გამო მოკლებულია კერძო საკუთრებას და ცხოვრობს კომუნისტურად.

პლატონის სახელმწიფოში ქალები სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, რითაც მამაკაცები; უნიჭიერეს ქალს ისევე შეუძლია სამხედრო პირად გახდომა, როგორც მამაკაცს.

როგორც კი გამოაქვეყნა პლატონმა თავისი შრომა, დარწმუნებული იყო, რომელიმე სახელმწიფოს მთავრობა ისარგებლებს ჩემი რჩევით და ასე მოაწოდებს სახელმწიფოსო, მაგრამ მისმა იმედებმა და მოლოდინმა ჩაილურის წყალი დალია.

პლატონის დიდი მგობარი და პატივისცემული იყო სიცილის მეფე, რომელსაც თავის თავი ფილოსოფოსად მოჰქონდა.

პლატონის მასთან გაემგზავრა, რომ დახმარებოდა თავის მგობარ მეფეს სახელმწიფოს ახალ ნიადავზე მოწყობაში, მაგრამ იმისმა თხოვლებამ იმდენად გამოუცვალა გული მეფეს, რომ მან მკვლევები გაუგზავნა პლატონს.

პლატონმა დროზედ გაიფო და თავს უშველა. ასე დამთავრდა პლატონის „კომუნისმი“.

ივ. გომარათელი.

ინფლაციის ეროვნულ მოპარობიდან

რომენ როლან: მახატმა განდი. თანამედროვე ინფლაციის დიდი რევოლუციონერი.

(ლენინგრადი. 1924 წ.)

თანამედროვე ინფლაციის ორი დიდი ადამიანი ჰყავს: მახატმა განდი და რაბინდრანატ ტაგორი. უკანასკნელს ქართველი მკითხველიც იცნობს, იგი სახელგანთქული პოეტია და მწერალი. მახატმა განდის სახელი კი ჩვენში უცნობია. ამ მხრივ რომენ როლანის ახალი წიგნის „მახატმა განდის“ გამოჩენა ტუილისის ბაზარზე სასიხარულო მოგონად უნდა ჩაითვალოს. საზოგადოდ იშვიათია ასეთი წიგნი დღეს ევროპაშიც:—სიყვარულით გამთბარი სტრიკონები, უბრალოდ მოთხრობილი დიდი ამბავი სამას მილიონიანი ინფლაციის კულტურულ-პოლიტიკური გამოღვივებისა და მისი გმირი, რომელიც ხელმძღვანელობს უკიდურესად დაჩაგრული ხალხის ტიტანთურ ბრძოლას ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

როლანს თავისებური შეხედულება აქვს გმირებზე. შეიძლება იგი არ გაიზიაროთ, მაგრამ შეუძლებელია მისი უფროდღებოდ დატოვება. როლანის გმირები ცოტანი არიან ისტორიაში. მათი მთავარი თვისებაა უმტკიცესი ზნეობრივი ძალა და სულის უნივერსალური სიდიადე. ესენი არიან: ბეტხოვენი, მიქელ ანჯელო, ლტოლსტრი. თითოეულ მათგანს ცალკე წიგნს უძღვნის როლანი. ევროპის დეკლასიური მოწინავე იდეალისტური ინტელიგენციისათვის ამ წიგნებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი სახარების მნიშვნელობა აქვთ:—აკობრიობის გარდაქმნა არა მატერიალურ საფუძველზე, რევოლუციის გზით მასსების ჩარევით ისტორიაში, არამედ სულისა და სიყვარულის განმტკიცებით, „მატერიში“ სრულის დამორჩილებით.

რ. როლანის მსოფლმხედველობა „ისტორიულ-ემოციური“ არსებითად და საზოგადოებრივ კლასების ფართო და რადიკალური მოძრაობისათვის გამოუღებარი. მაგრამ რამდენადც იგი ახასიათებს სოციალური ბრძოლიანებას „განზე გამტარ“ ევროპის ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულისკეთებას, ფრიად საყურადღებოა. მასაც აქვს თავისი გეარქმა და გოლგოთა.—მე. ჯ. ტოლსტოი, ან თვითონ რომენ როლანი, რომლის შეგნება უფროსად დატანჯული იმისაგან, რომ „ეკონომიური პირობების გარდაუვალი დეტერმინიზმი“ ასე სასტიკად ანადგურებს მე-XX საუკუნის ევროპის კაცობრიობის სულს.

ინდოლი მახატმა განდი — ახალი გმირია რ. როლანისა. მიუხედავად იმისა, რომ განდი სრულიად უცხო კულტურის ნიადაგზეა წარმოშობილი, სრულიად უცხო წყნის მოქმედი და უცხოვე იღვეით გარემოცული, როლანმა მასში ნათესავი სული ჰპოვა, ტოლი, თანამებრძოლი.—გინ არის მახატმა განდი?

მთელმა ინდოეთმა „მახატმად“ აღიარა განდი. მახატმა ინწნავს „ღიად სულს“. უპანიშდებში მახატმა—უხერხესი არსებაა, რომლის შეცნობა ბნოლოდ კონდითა და სიყვარულით შეიძლება. ამ არსების შემცნობი თვითონვე მახატმა ხდება. განდიც ასეთია.—იგი მახატმა.

განდის გარეგნობას ასე ავგოწებს რ. როლანი: „შეგიდ შეგი თვალდები. პატარი ტანის გახდარი კაცი. თავს ხურავს თეთრი საბურავი. თეთრსავე ტანსაცმელს ატარებს, უბრალოს, შინ მოქცეობს, ფეხშიშველია. საქველად მხოლოდ ბრახვსა და ხილს ხმარობს. წყალს გარდა სხვა სასმელს არ სვამს. სძინავს ფიცარზე, ძლიანი ატრა სძინავს, ბოლო უშნაობს დაუღალავად. ვაკურეუბას იწყებს მის სახეზე მკრობარზე დიდი მითინება და დიდი სიყვარული. ბავშვებით გულუბრყვილო.“

ასეთია იმ ადამიანის გარეგნობა, რომელმაც, როლანისავე სიტყვით, აფეხზე დააყენა სამის მილიონი ინდოელი და შეარყია ბრიტანეთის დიდი იმპერია, ხოლო საცაქობრიო პოლიტიკის სფეროში საფუძველი ჩაუყარა ისეთ მოძრაობას, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი მოძრაობა ჩვენს ისტორიის ორი ათასი წლის მანძილზე“.

განდის ლონდონის უნივერსიტეტში მათეთარებება სწავლა. 1891 წ. ინდოეთს დაბრუნებულია. მისი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი ხანა საფრთხე აფრიაკავს სწარმოებს ვიდრე 1914 წლამდე. მის გარემოებას, რომ განდის მოღვაწეობამ აფრიაკავს იმ მიტკეია ევროპის ყურადღებას,—ამბობს რ. როლანი—მოწონას იმას, რომ ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებს, ისტორიკოსებს და მოაზროვნეთ ძალიან ეფრთხი პოზიციონტი აქვთ, ეინაიდან ეს მოღვაწეობა წარმოადგენს ისეთი სულის გამოვას, რომელსაც ბადალი არა ჰყავს ჩვენს დროში“...

ინგლისის კოლონიალური პოლიტიკა აფრიაკავს იტყულებს განდის შეუდარებელი ბრძოლა გამოუცხადლოს ევროპის იმპერიალიზმს. ის იღებს პრინციპად „პასიური წინააღმდეგობის“ მეთოდს და მოუწოდებს მედვარ ბრძოლისათვის ვეღა აზიულს განტარებულად სარწმუნოებისა და ეროვნების ინგლისის იმპერიალისტების მატრიონობის

წინააღმდეგ აზიაში. „პასიური წინააღმდეგობის“ ლოზუნგმა გარს შემოიკრება ინდოელებთან ერთად ჩინელებიც. ინგლისის მთავრობამ რეპრესიებს მიმართა. გაიწვია ციხეები, თვითონ განდიც სამჯერ იყო დაპატიმრებული.

აქედან იწყება განდის რევოლუციონური მოღვაწეობა. იგი სტრატეგია აფრიაკავს, ჩამოიღის ინდოეთში და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სათავეში ქეცევა. მაგრამ პირველ ხანებში ის აღდება ზომიერების გზას. უკანასკნელი ომისათვის განდის დახმარებით ინგლისის ჯარში 980000 ინდოელი ეწევა. ამის სამაგიეროდ ინგლისის მთავრობა შეპირდა ინდოეთს ახალ კონსტიტუციას და მოუკიდებლობის გარანტიებით. მაგრამ ომის გათავისება შემდეგ გამარჯვებულ ინგლისს უკან მიაკვს თავისი დაპირებანი. ამის პასუხად განდი მოუწოდებს ხალხს „პასიურ წინააღმდეგობისაკენ“ და მთელს ინდოეთს მოედება აჯანყების ცეცხლი.

აქ უნდა ითქვას, რომ ინდოეთის ისტორიულ კულტურული პირობები ისე დიდად განსხვავდებიან ევროპელებისაგან, რომ ჩვენებური საზოგადოებრივ მიუღვეებით ამ ქვეყანას. საქმე ისაა, რომ ინდოეთი ჯერ კიდევ კასტებად არის დაყოფილი და მისი სოციალურ-კულტურული სახე იმდენად უცხოა თანამედროვე ევროპელებისათვის, მით უფრო საბჭოთა მოქალაქისათვის, რომ მწელი წარმოსადგენი ხდება, როგორც იქ წარმომავალი ბრძოლის მეთოდები, ისე ამ ბრძოლის სათავეში მდგომი პირების მსოფლმხედველობა.

თანამედროვე რევოლუციონური შეგნებისათვის უთუოდ უცნობია, რომ თავიდან ფეხაღდ შემოიარებულნი ევროპელები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებს „პასიური წინააღმდეგობის“ ნიადაგზე და გამარჯვების მთელი იმედიც დამყარებულია „პასიობაზე“.

რა არის „პასიური წინააღმდეგობა“?

ეს არის ინდუსტრული სარწმუნოების ერთი დებულებათაგანი, წმინდა რელიგიური ხასიათის პრინციპი, რომელიც განდის პოლიტიკაში გადმოაქვს. ამ პრინციპის თანახმად ბოროტების წინააღმდეგ ძალა არ უნდა იხმარებოდეს, როგორც ბრძოლის საშუალება. განდი ასე განმარტავს ბრძოლის ამ მეთოდს:

„მე ვკვდავებ შეუდრეკელ ვეცაკობას. ეს არის: მოყვლი ისე, რომ არ მოკლას... პატივისთვის მტერი ვეცაკობაა სპირით, ვიდრე დასჯისთვის. ძალდატანებაზე გაცილებით უფრო მაღალია ძალდაუტანლობა, ხოლო პატივებს მაშინ აქვს აზრი, როცა არსებობს დამსჯელი ძალა. უსტიკის მტრის პატივებს მნიშვნელობა არ აქვს. მე არ მგონია, რომ ინდოეთი უსტიკი იყოს. ასე ათასი ინგლისელი ვერ შეაშინებს სამს მილიონ ინდოელს. განა ძალას ფიზიკური მატერიალური საშუალებანი ჰქვნიან? ძალის შეუდრეკელი ნებისყოფა იძლევა... ინდოეთის სული უკვდავია. ამ სულს შესწევს ძალა, რომ იმი გამოუცხადლოს მთელი ქვეყნების მატერიალური ძალებს... და მე მივიცი ჩემს თავს ნება, რათა ვერჩიო ინდოეთს განახლება უბეგლესი კანონისა, რომელსაც ჰქვია თავგანწირულება,—უღიღესი კანონი ტანჯვისა. ეს არის, კაცობრიული მოდგმის კანონი. იგი სულის კანონია. ძალა მხეცებს სჭირით რადფანაც მათი სული არ შეტყველებს“.

